GIG - ერთი გუნდი–საერთო ენერგია

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი (GIG) - ბიზნეს-საქმიანობის ოცწლიანი გამოცდილებით წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიულ ჯგუფს საქართველოში. მისი ბიზნეს-პორტფელი მოიცავს ქვანახშირის მოპოვებას, ელექტროენერგიის გამომუშავება-რეალიზაციას, უძრავი ქონების მართვას.

კომპანია აქტიურად ახორციელებს ახალ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან საინვესტიციო პროექტებს. „ზოგადად, საქართველოს განახლებადი ენერგიის დიდი პოტენციალის განვითარება და ფართოდ გამოყენება GIG-ის ერთ-ერთი პრიორიტეტია“ აცხადებს იორგ მათიესი, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის გენერალური დირექტორი. იგი GF-თან მიცემული ინტერვიუს დროს ჯგუფის საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ საუბრობს.

იორგ მათიესი

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის გენერალური დირექტორი

იორგ მათიესი საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს (GIG) 2015 წლის თებერვალში შემოუერთდა. იგი დაინიშნა როგორც საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის, ასევე მისი ძირითადი შვილობილი კომპანიის, საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის (GIEC) მთავარ აღმასრულებელ დირექტორად (გენერალურ დირექტორად). გერმანიის მოქალაქეს, ბატონ მათიესს ენერგეტიკის სექტორთან დაკავშირებული 25-წლიანი პროფესიული გამოცდილება გააჩნია, რომელიც მოიცავს კერძო სექტორს, საჯარო სამსახურს და აკადემიურ კვლევას. იგი ფილოსოფიის დოქტორის წოდებას ფლობს ეკონომიკის დარგში და თავისუფლად საუბრობს გერმანულ, ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ბატონი მათიესისთვის, რომელიც მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში მუშაობდა, საქართველო უცხო არ არის. 2009-დან 2013 წლამდე იგი „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (GWP) მთავარი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას იკავებდა. აღნიშნული კომპანია საქართველოს წყლისა და ელექტროენერგიის ბაზრის უმთავრესი მოთამაშეა. მოგვიანებით ბატონი მათიესი რუსეთის ფედერაციაში კერძო ინვესტირების სფეროში ჩაერთო და წარმოების ფართო სპექტრში აქტივების დიდ პორტფელს მართავდა. 2009 წლამდე ბატონი მათიესი გერმანული ელექტრო-კომუნალური მომსახურების მთავარი ჯგუფის MVV Energie AG-ის საერთაშორისო საკონსულტაციო და საინჟინრო საქმიანობის მმართველი.

ბატონო მათიეს, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ერთ-ერთი უდიდესი ჰოლდინგია საქართველოში. გთხოვთ, გვიამბეთ თქვენი ჰოლდინგის შესახებ.

ბიზნესი ღირებულებათა შექმნის პროცესია, რომელიც მუდმივ განვითარებას და გაუმჯობესებას ეფუძნება. რაც უფრო წარმატებულად წარმართავ შენს ბიზნეს-საქმიანობას, მით უკეთესი ხდება შენი, როგორც სანდო და საიმედო ბიზნეს-პარტნიორის რეპუტაცია. GIG-საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი - ამაყობს საქართველოში და მის საზღვრებს მიღმა მოპოვებული ასეთი მაღალი რეპუტაციით.
GIG ქვეყანაში წამყვანი ინდუსტრიული ჰოლდინგი, გადასახადების ერთ-ერთი უდიდესი გადამხდელი და დამსაქმებელია. კომპანია დაახლოებით 20 წელია მოქმედებს ქართულ და რეგიონალურ ბაზარზე. მან დასაქმა დაახლოებით 3000 ადამიანი და განახორციელა სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტები.სხვადასხვა

სფეროში მოქმედი მთელი რიგი კომპანიებისა გაერთიანებულია ამ ჯგუფში. მათ შორისაა ნახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ელექტროენერგიით ვაჭრობა, ბუნებრივი გაზის გაყიდვა, უძრავი ქონება, სამშენებლო მასალები, მექანიკური ინჟინერია და სხვა. GIG-ის წევრი კომპანიებიდან უმსხვილესია მოთამაშეა ,,საქართველოს ენერგეტიკული კორპორაცია" (GIEC), რომელიც მნიშვნელოვან წილს ფლობს ქართულ ბაზარზე ელექტროენერგიის გამომუშავების სფეროში.კომპანია გამოიმუშავებს საქართველოში მოხმარებული ელექტროენერგიის დაახლოებით 10%-ს. მისი საბაზრო წილი ზამთრის სეზონის განმავლობაში 15%-ს აღწევს, როდესაც თბოელექტროსადგურები მაქსიმალური სიმძლავრით მუშაობენ.

GIEC ფლობს გაზზე მომუშავე ელექტროსადგურებს # 3 და #4 გარდაბანში, ჯამური დადგმული სიმძლავრით 300 მგვტ, ასევე 8 ჰიდროელექტროსადგურს საერთო დადგმული სიმძლავრით 50 მგვტ. კომპანია აქტიურად ახორციელებს ახალ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან საინვესტიციო პროექტებს. უახლოესი მომავლისთვის GIEC-ის მიერ შემუშავებული უდიდესი გეგმები მოიცავს ქვანახშირზე მომუშავე 150 მგვტ ელექტროსადგურის მშენებლობას ტყიბულში, დასავლეთ საქართველოში. ახალი ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში ჩაშვება 2020 წლისთვის იგეგმება.

GIEC მემორანდუმი გააფორმა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან გურიაში, მდინარე ნატანებზე ჰიდროელექტროსადგურების ,,ნატანები 1" და ,,ნატანები 3"-ის დაგეგმვის, მშენებლობის, მფლობელობისა და ოპერირების შესახებ. პირველ ეტაპზე კომპანია ახორციელებს ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისა და ფინანსური განხორციელებადობის შესწავლის მიზნით.

ზოგადად საქართველოს განახლებადი ენერგიის დიდი პოტენციალის განვითარება და ფართოდ გამოყენება GIG-ის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლის რეგიონში 3 წლის განმავლობაში ქარსაზომი სამუშაოების განხორციელების შემდეგ ჯგუფი აღნიშნულ ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი ქარის წისქვილების პროექტის დაგეგმვას და განხორციელებას აპირებს.

ელექტროენერგიის გამომუშავების გარდა GIEC ასევე ახორციელებს ამბიციურ გეგმებს საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიით და გაზით ვაჭრობის განვითარების მიზნით. მიმდინარე წლის განმავლობაში თურქეთში და სომხეთში დაახლოებით 100 მილიონი კვსთ ელექტროენერგიის ექსპორტი განხორციელდა.

საკუთარი ბრენდის ,,ნეოგაზის" სახით ჯგუფი საქართველოში გაზგასამართი სადგურების წამყვან ქსელებს შორისაა. საერთო ჯამში იგი ფლობს და ამუშავებს 30 გაზგასამართ სადგურს მთელს ქვეყანაში.

GIG-ის კიდევ ერთ პრიორიტეტს ქვანახშირის მოპოვება წარმოადგენს. ,,საქნახშირი" ქვანახშირის მომპოვებელი ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელიც ტყიბული-შაორის ქვანახშირის აუზში ქვანახშირის მოპოვების ლიცენზიებს ფლობს. საქართველოს აღნიშნულ ტერიტორიაზე კომპანია უდიდესი დამსაქმებელია. თანამედროვე, ზუსტად მორგებული სამთო ტექნოლოგიების დანერგვით ქვანახშირის გამომუშავება მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში უნდა გასამმაგდეს და წლიურად 1 მ ტონას მიაღწიოს.
და ბოლოს, GIG საკუთარ შვილობილ კომპანიასთან ,,ტიფლის ჯგუფთან" ერთად წარმოადგენს მთავარ მოთამაშეს თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე, სადაც ფლობს და ვაჭრობს საოფისე შენობებით, უძრავი ქონებით, საწყობებით და სამაცივრე დანადგარებით.

GIEC-ის უახლოეს გეგმებში შედის ქვანახშირზე მომუშავე 150 მგვტ სიმძლავრის ელექტროსადგურის მშენებლობა ტყიბულში, (დასავლეთ საქართველო)

საქართველოს ელექტროენერგიის ეფექტური ექსპორტის შესაძლებლობა დამოკიდებულია ინფრასტრუქტურაზე. რამდენად შესწევს დღევანდელ ინფრასტრუქტურას აღნიშნულის უნარი?

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია ძალისხმევას არ იშურებს, რათა გაამრავალფეროვნოს და გაზარდოს საკუთარი საექსპორტო შესაძლებლობები და მაქსიმალურად გამოიყენოს ქვეყნის ტრანზიტული პოტენციალი. GIEC ელექტროენერგიის ექსპორტს ახდენს თურქეთის და სომხეთის რესპუბლიკებში. ექსპორტის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურაზე დ კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობაზე. ახალციხე-ბორჩხას 400 კვ დამაკავშირებელი ხაზი წარმოადგენს ამ ორ სექტორს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ელექტროენერგიის ინფრასტრუქტურაში განხორციელებული დიდი ინვესტიციების მიუხედავად საექსპორტო შესაძლებლლობები კვლავ შეზღუდულია. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება საზღვარგარეთ წარმოებული ვაჭრობის განვითარებასთან ერთად მოიზიდავს ახალ ინვესტიციებს, გაზრდის ქვეყნის ენერგო-უსაფრთხოებას და გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ელექტროენერგიის ნამდვილ კერად გარდაქმნის.

რა აქცევს საქართველოს ინვესტიციებისთვის მიმზიდველ ქვეყნად?

საქართველოს გააჩნია ძალიან ლიბერალური საინვესტიციო კლიმატი. ქვეყანა მაღალი პოზიციით არის წარმოდგენილი ,,მსოფლიო ბანკის" რეიტინგებში ,,ბიზნესის კეთების სიმარტივე 2015", რომლითაც, ქვეყანაში ბიზნესის დაწყებისა და წარმართვისთვის, ხელსაყრელი გარემო ფასდება. საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ეკონომიკურ, საკანონმდებლო და მარეგულირებელ გარემოს ინვესტიციებისა და ბიზნეს-ოპერაციებისთვის.

ენერგოსექტორში სად არის დღეს და უახლოეს მომავალში საუკეთესო პერსპექტივები უცხოელი ინვესტორებისთვის?

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საუკეთესო პერსპექტივები განახლებად ენერგიაშია, ძირითადად კი ჰიდროენერგიაში. ამასთან, ქვეყნის უმთავრეს ინტერესებშია ენერგო-მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა გრძელვადიან პერიოდში, საკუთარი რესურსების მეშვეობით ადგილობრივი ქვანახშირისა და გაზის გამოყენება, მიწისქვეშა გაზის მარაგების მოწყობა, ქარის ტურბინებისა თუ თერმული მზის კოლექტორების აგება. ასეთი პროექტები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოებისა და სანდოობის გაზრდის მიზნით.

რას აკეთებთ ბუნების დაცვის მიზნით?

ჩვენი ყველა საინვესტიციო პროექტი და მიმდინარე ღონისძიება შესაბამისობაში უნდა იყოს გარემოს და ბუნების დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ახალი პროექტი გადის მკაცრ შეფასებას გარემოზე ზემოქმედების კუთხით და გათვალისწინებულია, როგორც, საზოგადოების მოსაზრება, ასევე ყველა დაინტერესებული პირის . შესაბამისი უწყებების მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები ყოველთვის წარმოადგენს პროექტის უმთავრეს ნაწილს.

როგორ მართავთ გარემოზე ზემოქმედებას?

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს და დადგინდეს ახალი პროექტების მიერ გამოწვეული შესაძლო ეკორისკები. შემდეგ ეტაპზე კი შემუშავდეს და განხორციელდეს ზომები გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით. ამ კუთხით ჩვენ შემუშავებული გვაქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც გარემოზე მავნე ზემოქმედების რისკების მაქსიმალურ შემცირებას ითვალისწინებს. კომპანია მუშაობს გარემოსდაცვითი კონკრეტული ღონისძიებების გეგმაზე, რომელიც GIG-ს ყველა კომპანიისთვის მუშავდება. ჩვენს მიერ დასაქმებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ. წლის განმავლობაში კომპანია აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა მწვანე აქციებში.მარტო 2014 წელს ტყიბულში 300 მდე ნერგი დავრგეთ.

რა არის საჭირო საქართველოში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისათვის? როგორ უნდა განხორციელდეს გარემოს დაცვის საკითხებში საგანმანათლებლო ღონისძიებები?

გარემოს დაცვითი პრობლემების გადაჭრა იწყება ცნობიერების ამაღლებით. განათლება გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით შეძლებისდაგვარად ადრეულ ასაკში უნდა დაიწყოს. კომპანია ამ პროცესშიც აქტიურად არის ჩართული, ვფიქრობ ნოვატორები ვართ ამ კუთხით, რადგან რეგიონებში ბავშვებისთვის სპეციალურ საგანმანათლებლო პროექტებს ვახორციელებთ და შემეცნებით გაკვეთილებს ვუტარებთ. ვუხსნით რა მნიშვნელობა აქვს გარემოს, რატომ უნდა მოვუფრთხილდეთ და რა რისკებს შეიცავს გარემოს გაუფრთხილებლობა. ვასწავლით საყოფაცხოვრებო ნივთების მეორად გამოყენებას, უვარგის ნივთებს ახალ სიცოცხლეს ვაძლევთ და ამ პროცესში პედაგოგებთან ერთად ბავშვები იღებენ მონაწილეობას. პრაქტიკამ გვაჩვენა რომ ასეთი შემეცნებითი გაკვეთილები ეფექტურ შედეგს იძლევა.

რომელი სექტორებია მოგების სიდიდით ყველაზე საიმედო ინვესტორებისთვის საქართველოში?

ჩემი აზრით, ყველაზე იმედისმომცემი კერძო ინვესტიცია იქნება ჰიდროელექტროსადგურებში, ტურიზმის სფეროში, ლოჯისტიკასა და შესაძლოა სოფლის მეურნეობაში.

თუმცა, აღნიშნულისთვის საჭიროა, შეიცვალოს კერძო ინვესტირების შეხედულება ინვესტიციების შესახებ. ძალიან ცოტა განვითარებული კომპანიაა, რომელიც შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს კერძო ინვესტირების ფონდებისთვის. მცირეა არეალი ახალი ბიზნეს-საქმიანობის დასაწყებად სარისკო კაპიტალდაბანდების განსახორციელებლად. თუმცა, ახალმა პროექტებმა შესაძლოა საინტერესო შესაძლებლობა წარმოშვას და მოგვიანებით შეძენილი იქნას სტრატეგიული ინვესტორების მიერ.

როგორია თქვენი მიზნები თქვენი მმართველობის პერიოდში?

მენეჯმენტი მთლიანად დამოკიდებულია ადამიანებზე, მათ პროფესიონალიზმზე და კორპორატიულ სტრუქტურაზე. ჩემი მიზანია, აღნიშნულ საკითხებზე მუშაობის შედეგად გარდავქმნა GIG თანამედროვე, ფინანსურად მძლავრ და სოციალურად პასუხიმგებელ კომპანიათა ჯგუფად, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მაღალკვალიფიციური და თავდაუზოგავი პროფესიონალების გუნდით.